

ქედის მუნიციპალიტეტი

კარტრიჯების შესყიდვის  
გამარტივებული ელექტრონული ტენდერი

სატენდერო დოკუმენტაცია

2017 წელი

დაბა ქედა

ინფორმაცია ტენდერში მონაწილეთათვის  
 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, და „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების შესაბამისად. იხ. <http://procurement.gov.ge/>.

## 2 ტექნიკური დავალება.

2.1 შესყიდვის ობიექტი: კარტრიჯების შესყიდვა.

№	დასახელება	ძირითადი ტექნიკური მახასიათებლები	ზომის ერთ.	რაოდენობა
1	კარტრიჯი 283 A	(ბეჭდვის რესურსი ერთი კარტრიჯისათვის არანაკლებ 1500 გვერდი, A4 ფორმატი)	ცალი	3
2	კარტრიჯი 12A	(ბეჭდვის რესურსი ერთი კარტრიჯისათვის არანაკლებ 1500 გვერდი, A4 ფორმატი)	ცალი	16
3	კარტრიჯი 285A	(ბეჭდვის რესურსი ერთი კარტრიჯისათვის არანაკლებ 1500 გვერდი, A4 ფორმატი)	ცალი	22
4	კარტრიჯი 435A	(ბეჭდვის რესურსი ერთი კარტრიჯისათვის არანაკლებ 1500 გვერდი, A4 ფორმატი)	ცალი	17
5	კარტრიჯი 436A	(ბეჭდვის რესურსი ერთი კარტრიჯისათვის არანაკლებ 1500 გვერდი, A4 ფორმატი)	ცალი	3
6	კარტრიჯი 725/712	(ბეჭდვის რესურსი ერთი კარტრიჯისათვის არანაკლებ 1500 გვერდი, A4 ფორმატი)	ცალი	37
7	კარტრიჯი 728	(ბეჭდვის რესურსი ერთი კარტრიჯისათვის არანაკლებ 1500 გვერდი, A4 ფორმატი)	ცალი	110
8	კარტრიჯი 737	(ბეჭდვის რესურსი ერთი კარტრიჯისათვის არანაკლებ 1500 გვერდი, A4 ფორმატი)	ცალი	20
9	კარტრიჯი fx10	(ბეჭდვის რესურსი ერთი კარტრიჯისათვის არანაკლებ 1500 გვერდი, A4 ფორმატი)	ცალი	21
10	კარტრიჯი-122 (ფერადი)	ფერადი პრინტერისათვის	ცალი	17
11	კარტრიჯი-122 (შავი)	ფერადი პრინტერისათვის	ცალი	10
12	კარტრიჯი-511 (ფერადი)	ფერადი პრინტერისათვის	ცალი	10
13	კარტრიჯი-512 (შავი)	ფერადი პრინტერისათვის	ცალი	10
14	კარტრიჯის სითხე	(ფერადი პრინტერისათვის EPSON L800, 6 ცალი ფერი)	შეკვრა	1

2.2 მიწოდების ვადები, პირობები და ადგილი:

2.2.1 მიწოდება ხორციელდება. ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნიდან 5 კალენდარული დღის განმავლობაში. ხელშეკრულების დადებიდან 2017 წლის 31 დეკემბრამდე.

2.2.2 მიწოდების ადგილი დაბა ქედა, მ. კოსტავას ქ. #3 ქედის მუნიციპალიტეტი

2.2.3 შემოთავაზებული კარტრიჯები უნდა შეესაბამებოდეს საბეჭდი მოწყობილობის მწარმოებლისგან მოცემულ პარამეტრებს ( ლაზერულ კარტრიჯზე ბეჭდვის რესურსი არანაკლებ 1500 გვერდი). არ უნდა იყოს მეორადი და გადამუშავებული, უნდა იყოს დამზადებული ქარხნული წესით ქარხნული შეფუთვით, ყუთზე დატანილი გაყალბებისგან დამცავი ნიშნებით.

2.2.4 ქარხნული წუნის აღმოჩენის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით (სატრანსპორტო საშუალებების ჩათვლით) შეტყობინებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში შეცვალოს საქონელი ახლით. საქონლის მიწოდების განხორციელებისას მიმწოდებლის მიერ მიყენებულ ზიანზე მთლიანად პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

2.4 იმ შემთხვევაში თუ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის შედეგად გამარჯვებული მიმწოდებლის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველი ორგანიზაცია პრეტენდენტისაგან ითხოვს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებას. ფასწარმოქმნის ადეკვატურობა შესაძლებელია დასაბუთდეს შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებით პრეტენდენტის მიერ მწარმოებელთან/მიმწოდებელთან გაფრომებული ხელშეკრულებით ან ანგარიშ-ფაქტურით (ინვოისით). წარმოდგენილი დოკუმენტები უნდა ადასტურებდეს პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებულ ფასად ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობას.

3.3 პრეტენდენტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი მონაცემები:

- \* რეკვიზიტები დანართი №1-ის მიხედვით;
- \* ფასების ცხრილი დანართი №2-ის მიხედვით.

შენიშვნა: სისტემაში ატვირთული დოკუმენტები ხელმოწერილი უნდა იყოს ხელმძღვანელის ან პრეტენდენტის უფლებამოსილი პირის მიერ შესაბამისი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის თანდართვით

**სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი**

**ხელშეკრულება №**

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელის პირობების დაზუსტება განხორციელდება გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად,

დ. ქედა

2017 წელი

ერთის მხრივ ქედის მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი გამგებლის დავით დუმბაძის სახით და მეორეს მხრივ, ----- (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი ----- სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის და მიმწოდებლის სატენდერო წინადადების საფუძველზე, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

**1. ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკატორის კოდი**

- 1.1. კარტრიჯების შესყიდვა.
- 1.2 კლასიფიკატორის კოდი – 30100000

**2. ხელშეკრულების ღირებულება, ანგარიშსწორების ფორმა და წესი.**

2.1. შესაძენი საქონლის საერთო ღირებულება შეადგენს ----- ლარს.

2.2. მხარეებს შორის ანგარიშსწორება წარმოებს უნაღლო ანგარიშსწორებით.

2.3. თანხის გადახდა იწარმოებს ანგარიშფაქტურის (სასაქონლო ზედღებულის) წარმოდგენის შემდეგ.

### 3. საქონლის მიწოდების პირობები

3.1 მიმწოდებლის მიერ საქონლის მიწოდება ხორციელდება -----

3.2. მიწოდების ადგილი; დაბა ქელა. მ. კოსტავას ქ. №3, ქედის მუნიციპალიტეტი;

### 4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი.

#### 4.1. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

4.1.1 უზრუნველყოს მისთვის გადაცემული საქონლის შესაბამისი ანაზღაურების გადახდა მიმწოდებლისათვის წინამდებარე ხელშეკრულების პირობათა სრული დაცვით.

#### 4.2. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია:

4.2.1. „მიმწოდებლისგან“ მოითხოვოს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონლის ხელშეკრულებით დადგენილი ოდენობითა და ვადაში მიღება.

4.2.2. „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობათა შეუსრულებლობის შემთხვევაში შეწყვიტოს ხელშეკრულება.

4.2.3. თვით ან მოწვეული ექსპერტების მეშვეობით, დაუბრკოლებლივ განახორციელოს „მიმწოდებლის“ მიერ გადაცემული საქონლის ხარისხის შემოწმება.

4.2.4. „მიმწოდებლისგან“ მოითხოვოს საქონლის გადაცემის შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

#### 4.3. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

4.3.1. ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში ხელშეკრულებით დადგენილი ოდენობითა და ღირებულებით მიაწოდოს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.

4.3.2. საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შემსყიდველის მიერ გამოვლენილი საქონლის მდგომარეობასთან დაკავშირებული ყველა ნაკლის აღმოფხვრა.

4.3.3. საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებით მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს „შემსყიდველს“ მიწოდებული საქონლის შესახებ შესაბამისი პირველადი დოკუმენტაციის ასლები და ანგარიში, რომლის შემდგომაც ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

4.3.4. დაუყოვნებლივ აცნობოს „შემსყიდველს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობისა ან/და ხელისშემშლელ დაბრკოლებათა შესახებ.

4.3.5. ხელშეკრულების შესრულების პერიოდში სუბკონტრაქტების დადების აუცილებლობის წარმოშობის შემთხვევაში, წერილობით აცნობოს „შემსყიდველს“ შესაბამისი თანხმობის მისაღებად.

#### 4.4. „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია:

4.4.1. „შემსყიდველისგან“ მოითხოვოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად და დროულად შესრულება.

### 5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

5.2. ხელშეკრულების კონტროლს ახორციელებს შემსყიდველის მიერ გამოყოფილი წარმომადგენელი ან სპეციალური ინსპექტირების ჯგუფი.

5.3. ინსპექტირება განხორციელდება პერიოდულად, წარმოქმნილი საჭიროებიდან გამომდინარე.

5.4. „მიმწოდებელი“ ვალდებულია საქონლის მიწოდების განხორციელების დროს ინსპექტირების ჯგუფს შემოწმების პროცესში აღმოუჩინოს ხელშეწყობა, არ შეუქმნას ხელისშემშლელი პირობები და წარუდგინოს პროექტთან დაკავშირებით ნებისმიერი სახის ინფორმაცია და დოკუმენტები.

### 6. უფლებების გადაცემა

6.1. მიმწოდებელს არ აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

## **7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

- 7.1. შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
- 7.2. შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღება-ჩაბარებაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს ქედის ნუნციპალიტეტის -----.
- 7.3. საქონლის (ან მისი ნაწილის) მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.
- 7.4. საქონლის რაოდენობის ან წუნდების მიზეზის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ ატყობინებს მიმწოდებელს წერილობით.

## **8. ფასები**

- 8.1. ხელშეკრულებით ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში დასაშვებია მხარეთა მიერ წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

## **9. შეტყობინება**

- 9.1. ნებისმიერი შეტყობინება, მხარის მიერ ხელშეკრულების შესაბამისად, გაეგზავნება მეორე მხარეს წერილობითი სახით, ხელშეკრულებაში მითითებულ მეორე მხარის მისამართზე.
- 9.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

## **10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება**

- 10.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა წინაშე წარმოშობილი დაბრკოლების გამო ნაკისრი ვალდებულებების ვერ ან არაჯეროვნად შეუსრულებლობის საფრთხის შესახებ, მხარე ვალდებულია წერილობით აცნობოს მეორე მხარეს შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხაზგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. ხოლო შეტყობინების მიმღები მხარე კი ასევე დაუყოვნებლივ აცნობებს თავის გადაწყვეტილებას აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
- 10.2. იმ შემთხვევაში თუკი ხელშეკრულების პირობების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელებაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

## **11. ფორს-მაჟორული სიტუაცია**

- 11.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან დაკისრებულ მოვალეობათა ნაწილობრივ ან სრულად შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის ზემოქმედებით გამოწვეული გარემოებების შემთხვევაში.
- 11.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს ამის შესახებ.
- 11.3. მხარე არ თავისუფლდება პასუხისმგებლობიდან, თუ კი ფორს-მაჟორული გარემოების დადგომა გამოწვეულია მისი ბრალით, ან ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება შესაძლებელი იყო ასეთ გარემოებათა დადგომამდეც გონივრულ ვადებში.

## **12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი**

- 12.1. მხარეთა შორის წამოჭრილი დავები გადაწყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით. თუ სადაო საკითხებზე მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში მხარეები ვერ შეძლებენ შეთანხმებას, დავა გადაწყდება სასამართლო წესით.

## **13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა**

- 13.1. ხელშეკრულებითა და დამტკიცებული ვადების დარღვევისათვის მხარეები ჯარიმის სახით გადაიხდიან სახელშეკრულებო ღირებულების 0,1 პროცენტს, ყოველ გადაცილებულ დღეზე.
- 13.2. საჯარიმო თანხის გადახდა უნდა მოხდეს ვალდებულების შეუსრულებლობის მომენტიდან ერთი თვის ვადაში.
- 13.3. საჯარიმო თანხის გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისგან.

#### 14. ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა

14.1. ხელშემკვერელი მხარის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობის გამო მეორე მხარე, უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების სრული ან ცალკეული პირობების მოქმედება.

14.2. ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მხარეს ეცნობება წერილობით ხელშეკრულების (ან მისი ნაწილის) შეწყვეტამდე 2 (ორი) კვირით ადრე მაინც, ამასთან, უნდა მიეთითოს მიღებული გადაწყვეტილების საფუძველი და მისი ამოქმედების თარიღი.

14.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა, არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

#### 15. სხვა პირობები

შემსყიდველი:

მიმწოდებელი:

#### 4. დამატებითი ინფორმაცია:

4.1 სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაციისა და განმარტებები მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში, წერილობითი მიმართვის შემთხვევაში, ან ტელეფონით. მისამართი: დ.ქელა, მ. კოსტავას ქუჩა №3, საკონტაქტო პირი: გივი დევაძე ტ-599851300

#### დანართი №1

##### 1. რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

მომსახურე ბანკი

ბანკის კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიში:

ფასების ცხრილი

№	ღასახელემა	ტექნიკური მახასიათებლები	წარმოშობის ქვეყანა კომპანია, მოდელი	ზომის ერთ.	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	სულ თანხა (ლარი)
1	კარტრიჯი 283 A			ცალი	3		
2	კარტრიჯი 12A			ცალი	16		
3	კარტრიჯი 285A			ცალი	22		
4	კარტრიჯი 435A			ცალი	17		
5	კარტრიჯი 436A			ცალი	3		
6	კარტრიჯი 725/712			ცალი	37		
7	კარტრიჯი 728			ცალი	110		
8	კარტრიჯი 737			ცალი	20		
9	კარტრიჯი fx10			ცალი	21		
10	კარტრიჯი-122 (ფერადი)			ცალი	17		
11	კარტრიჯი-122 (შავი)			ცალი	10		
12	კარტრიჯი-511 (ფერადი)			ცალი	10		
13	კარტრიჯი-512 (შავი)			ცალი	10		
14	კარტრიჯის სითხე			შეკვრა	1		
	ჯამი						